ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ბრძანება
G E O R G I A
CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY
ORDER

ბრძანება:**ბ135. 135230331**
თარიღი:**02/02/2023**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანზორ რატიანის მივლინების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ"საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მივლინებულ იქნას ავსტრიის რესპუბლიკაში,ტიროლში, ქ. ინსბრუკში, როგორც დელეგაციის ერთ-ერთი წევრი, ტურიზმის მიზანმიმართული განვითარების პროექტის განსაზღვრის მიზნით დაგეგმილ ღონისძიებაზე დასასწრებად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ანზორ რატიანი ა/წლის 5 თებერვლიდან, 9 თებერვლის ჩათვლით.

2. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს ავსტრიის რესპუბლიკაში,ტიროლში, ქ. ინსბრუკში, ვიზიტისათვის საჭირო 5 დღის დღიური ხარჯი.

3. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს დროულად განახორციელოს ავსტრიის რესპუბლიკაში, ტიროლში, ქ. ინსბრუკში, ვიზიტისათვის საჭირო თანხის სახელფასო ანგარიშზე ჩარიცხვა.

4. მიღებული ბრძანების შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 180–ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის'' 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი